

# შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**შინაარსი**

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

3-7

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

|                                                                      |    |
|----------------------------------------------------------------------|----|
| კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 8  |
| კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                   | 9  |
| კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება           | 10 |
| კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება                         | 11 |

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

|                                                       |    |
|-------------------------------------------------------|----|
| 1. ძირითადი საქმიანობა                                | 12 |
| 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა            | 12 |
| 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები | 20 |
| 4. შემოსავალი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან   | 20 |
| 5. შრომის ანაზღაურება                                 | 20 |
| 6. სამედიცინო საქონლის ხარჯი                          | 20 |
| 7. კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი                  | 21 |
| 8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                      | 21 |
| 9. წმინდა საპროცენტო შემოსავალი                       | 21 |
| 10. ძირითადი საშუალებები                              | 22 |
| 11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები                    | 23 |
| 12. სავაჭრო მოთხოვნები                                | 23 |
| 13. ფული და ფულის ეკვივალენტები                       | 23 |
| 14. საკუთარი კაპიტალი                                 | 23 |
| 15. კაპიტალის მართვა                                  | 24 |
| 16. გადავადებული შემოსავალი                           | 24 |
| 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                     | 24 |
| 18. მიღებული სესხები                                  | 25 |
| 19. ფინანსური რისკების მართვა                         | 25 |
| 20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება   | 27 |
| 21. პირობითი ვალდებულებები                            | 27 |
| 22. დაკავშირებული მხარეები                            | 28 |
| 23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები  | 28 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ მენეჯმენტს და დამფუძნებლებს

### *უარი მოსაზრების გამოთქმაზე*

ჩვენ დავინიშნეთ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“ განხილული საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### *მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*

კომპანია ფლობს 100%-იან წილს შემდეგ კომპანიებში: შპს ერედვის ამბულატორია, შპს ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორია, შპს ქსუისის ამბულატორია. ვინაიდან კომპანიამ ვერ შეძლო ინფორმაციის მოპოვება შვილობილი კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, შესაბამისად, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ შეიცავს ჯგუფში შემავალი ყველა კომპონენტის მონაცემებს, არ არის დაკონსოლიდირებული კომპანიის შვილობილი კომპანიები. საკმარისი ინფორმაციის არ არსებობის გამო, ჩვენ ვერ დავადგინეთ, რა გავლენა იქონია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე იმ ფაქტმა, რომ არ მომხდარა ზემოთ ხსენებული კომპანიების კონსოლიდაცია.

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად, ჩვენ ვერ დავაკვირდით ჯგუფის მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რაც კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 3,337 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერი: 3,477 ათასი ლარი). ჩვენ ალტერნატიული საშუალებებით ვერ დავრწმუნდით ამ მარაგების არსებობაში და სისრულეში. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო შეიძლება ყოფილიყო თუ არა კორექტირება მარაგებთან მიმართებაში და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან, რომლებიც შეადგენენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის.

ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ჯგუფის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებების ღირებულების სისწორესა და არსებობაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებების სისწორის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. ამავდროულად, ვერ შევძელით ჯგუფისგან სრულყოფილი ძირითადი საშუალებების რეესტრის მოპოვება იმ ფორმით, რომ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება აკუმულირებული ცვთის, მიმდინარე პერიოდის ცვთის ხარჯის სისწორეზე და სხვა რეზერვებისა და დაფინანსების სისწორეზე.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია სავაჭრო მოთხოვნები 1,483 ათასი ლარის (2023: 1,432 ათასი ლარი) ღირებულებით. ჩვენ სრულად ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები აღნიშნული მუხლის არსებით თანხებზე. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების და შესაბამისად, ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯის სისწორეში. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა სავაჭრო მოთხოვნებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც შეადგენენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის.

2019 წლის 30 ოქტომბერს ჯგუფმა მოახდინა შპს ო. ჩხოზაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრის (ს/ნ 212672080) შერწყმა, რომლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2019 წლის 30 ოქტომბრით დასრულებული პერიოდისათვის ჩაატარა სხვა აუდიტორმა და გამოთქვა უარყოფითი მოსაზრება, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებების მოუპოვებლობა 2015-2019/10 პერიოდში ამონაგებსა და ადმინისტრაციულ ხარჯებზე. გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფის დაგროვილი ზარალი მოიცავს შპს ო. ჩხოზაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრის გაუნაწილებელ მოგებას, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ჯგუფის დაგროვილ ზარალზე, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 13,015 ათასი ლარით (2023 წელი: 12,400 ათასი ლარი). ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ დაგროვილ ზარალზე, ასევე, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შპს ო. ჩხოზაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრის (ს/ნ 212672080) შერწყმის შედეგად შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ბალანსზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აისახა სხვა ვალდებულებები 184 ათასი ლარის ოდენობით, (2023 წლის 31 დეკემბერი: 184 ათასი ლარი). ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სხვა ვალდებულებების ნაშთზე 200 ათას ლარის ოდენობით (რომელიც ძირითადად მოიცავს შერწყმის შედეგად წარმოქმნილ თანხებს), ამასთანავე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით ნაშთის სისწორეში. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ დაგროვილ ზარალზე, ასევე, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებების შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ჯგუფი სააღრიცხვო პრაქტიკის მიხედვით, დამფუძნებლისგან და საბოლოო მფლობელის საერთო კონტროლს ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიებისგან უსასყიდლოდ გადმოცემულ ქონებას აღრიცხავს სრულის შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც სხვა არასაოპერაციო შემოსავლებს, ნაცვლად კაპიტალის მოძრაობის უწყისისა. უშუალოდ 2024 წლის განმავლობაში დამფუძნებლისგან და საერთო კონტროლს ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიებისგან უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება, რომელიც კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება აღირიცხა, შეადგენდა 3,942 ათას ლარს და 3,429 ათას ლარს, შესაბამისად (2023: 741 ათას ლარს და 514 ათას ლარს, შესაბამისად). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ დავრწმუნდით კაპიტალის მუხლში აღსარიცხი ოპერაციების სისრულესა და კლასიფიკაციაში. ასევე, უსასყიდლოდ მიღებული აქტივები, არ არის შეფასებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ და შესაბამისად არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რათა დაგვედასტურებინა უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივებისაგან მიღებული შემოსავლის სიზუსტე და ღირებულება.

2024 წლის 25 აპრილს, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ ბრძანების საფუძველზე, ჯგუფს კაპიტალის გაზრდის მიზნით გადაეცა უძრავი და მოძრავი ქონება. აღნიშნული აქტივები არ ასახულა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში და მათზე არ არსებობს დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ მომზადებული შეფასება. შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რათა დავადასტუროთ აღნიშნული აქტივებისა და კაპიტალის მუხლის სისრულე, სიზუსტე და ღირებულება. შედეგად, ჩვენთვის შეუძლებელია განვსაზღვროთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ჯგუფის ძირითადი საშუალებებისა და განთავსებული კაპიტალის ოდენობაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადავადებული შემოსავლის ნაშთი 3,688 ათასი ლარის (2023: 2,468 ათასი ლარის) ოდენობით, რაც მოიცავს ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“-გან მიღებულ სუბსიდიებს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ნაშთების სისწორის შესახებ. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

### **სხვა ინფორმაცია**

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობით ანგარიშს. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას, და შესაბამისად იმის განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- როგორც განმარტებულია ჩვენი „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველის“ სექციაში, ჩვენ ვერ დავადგინეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების განხორციელება „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველში“ მითითებული გაურკვევლობების გამო. შესაბამისად, ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე ჩვენ ვერ გამოგვაქვს დასკვნა იმასთან დაკავშირებით არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად არაზუსტი ამ მოვლენასთან მიმართებით.
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

### **სხვა გარემოება**

ჯგუფის 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც ვერ მოპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება და უარი განაცხადა მოსაზრების გამოთქმაზე 2024 წლის 31 დეკემბერს.

### **ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა. თუმცა ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“, განხილული საკითხის გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

22 სექტემბერი 2025

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩავატაროთ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გამოვუშვათ აუდიტორის დასკვნა. თუმცა ჩვენი ანგარიშის ნაწილში, სახელწოდებით „*მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი*“, განხილული საკითხის გამო ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, რის საფუძველზეც გამოვთქვამდით აუდიტორულ მოსაზრებას წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

22 სექტემბერი 2025



**შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“**  
**კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**  
**2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის თანხები**  
**თანხები მოცემული ათას ლარში**

|                                                  | შენიშვნა | 2024           | 2023            |
|--------------------------------------------------|----------|----------------|-----------------|
| შემოსავალი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან | 4        | 18,289         | 14,062          |
| <b>სულ შემოსავლები</b>                           |          | <b>18,289</b>  | <b>14,062</b>   |
| შრომის ანაზღაურება                               | 5        | (17,044)       | (17,282)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                             | 10       | (5,661)        | (2,803)         |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი                | 7        | (1,853)        | (1,771)         |
| სამედიცინო საქონლის ხარჯი                        | 6        | (1,662)        | (2,483)         |
| ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები          |          | (114)          | (98)            |
| რემონტის ხარჯი                                   |          | (110)          | (141)           |
| საკონსულტაციო ხარჯები                            |          | (75)           | -               |
| ტრანსპორტირების ხარჯი                            |          | (26)           | (42)            |
| მივლინების ხარჯი                                 |          | (16)           | (34)            |
| მარაგების ანარიცხი                               |          | -              | (635)           |
| სხვა ხარჯი                                       |          | (40)           | (88)            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა/(ხარჯი) |          | 325            | (515)           |
| <b>სულ საოპერაციო ზარალი</b>                     |          | <b>(7,987)</b> | <b>(11,830)</b> |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                    | 8        | 7,387          | 1,296           |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                         |          | (93)           | (486)           |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი                     | 9        | 78             | 318             |
| <b>ზარალი დაბეგვრამდე</b>                        |          | <b>(615)</b>   | <b>(10,702)</b> |
| მოგების გადასახადი                               |          | -              | -               |
| <b>წლის წმინდა ზარალი</b>                        |          | <b>(615)</b>   | <b>(10,702)</b> |
| წლის სხვა სრული შემოსავალი                       |          | -              | -               |
| <b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>                 |          | <b>(615)</b>   | <b>(10,702)</b> |



დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“

თარიღი: 22 სექტემბერი 2025

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 12-28 გვერდებზე.

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”  
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის თანხები  
თანხები მოცემული ათას ლარში

|                                                  | შენიშვნა | 2024           | 2023            |
|--------------------------------------------------|----------|----------------|-----------------|
| შემოსავალი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან | 4        | 18,289         | 14,062          |
| <b>სულ შემოსავლები</b>                           |          | <b>18,289</b>  | <b>14,062</b>   |
| შრომის ანაზღაურება                               | 5        | (17,044)       | (17,282)        |
| ცვეთა და ამორტიზაცია                             | 10       | (5,661)        | (2,803)         |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი                | 7        | (1,853)        | (1,771)         |
| სამედიცინო საქონლის ხარჯი                        | 6        | (1,662)        | (2,483)         |
| ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები          |          | (114)          | (98)            |
| რემონტის ხარჯი                                   |          | (110)          | (141)           |
| საკონსულტაციო ხარჯები                            |          | (75)           | -               |
| ტრანსპორტირების ხარჯი                            |          | (26)           | (42)            |
| მივლინების ხარჯი                                 |          | (16)           | (34)            |
| მარაგების ანარიცხი                               |          | -              | (635)           |
| სხვა ხარჯი                                       |          | (40)           | (88)            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების აღდგენა/(ხარჯი) |          | 325            | (515)           |
| <b>სულ საოპერაციო ზარალი</b>                     |          | <b>(7,987)</b> | <b>(11,830)</b> |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                    | 8        | 7,387          | 1,296           |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                         |          | (93)           | (486)           |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი                     | 9        | 78             | 318             |
| <b>ზარალი დაბეგვრამდე</b>                        |          | <b>(615)</b>   | <b>(10,702)</b> |
| მოგების გადასახადი                               |          | -              | -               |
| <b>წლის წმინდა ზარალი</b>                        |          | <b>(615)</b>   | <b>(10,702)</b> |
| წლის სხვა სრული შემოსავალი                       |          | -              | -               |
| <b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>                 |          | <b>(615)</b>   | <b>(10,702)</b> |

დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“

თარიღი: 22 სექტემბერი 2025

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 12-28 გვერდებზე.

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”  
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის თანხები  
თანხები მოცემული ათას ლარში

|                                               | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2024 | 31 დეკემბერი<br>2023 |
|-----------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |                      |                      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                          | 10       | 32,533               | 29,479               |
| არამატერიალური აქტივები                       |          | 10                   | 10                   |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              |          | <b>32,543</b>        | <b>29,489</b>        |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                     |          |                      |                      |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები                | 11       | 3,338                | 3,479                |
| სავაჭრო მოთხოვნები                            | 12       | 1,901                | 1,433                |
| შეზღუდული ფული ბანკში                         | 13       | -                    | 2,520                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | 13       | 94                   | 59                   |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 |          | <b>5,333</b>         | <b>7,491</b>         |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>37,876</b>        | <b>36,980</b>        |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                      |                      |
| განთავსებული კაპიტალი                         |          | 39,882               | 37,382               |
| სხვა რეზერვები                                |          | 2,430                | 2,430                |
| დაგროვილი ზარალი                              |          | (13,015)             | (12,400)             |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | 14       | <b>29,297</b>        | <b>27,412</b>        |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |                      |                      |
| გადავადებული შემოსავალი                       | 16       | 3,688                | 2,468                |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>         |          | <b>3,688</b>         | <b>2,468</b>         |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                |          |                      |                      |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                 | 17       | 1,843                | 2,588                |
| საგადასახადო ვალდებულებები                    |          | 850                  | 841                  |
| გადასახდელი ხელფასები                         |          | 2,198                | 1,142                |
| სესხები                                       | 18       | -                    | 2,529                |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>            |          | <b>4,891</b>         | <b>7,100</b>         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |          | <b>8,579</b>         | <b>9,568</b>         |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>37,876</b>        | <b>36,980</b>        |

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 12-28 გვერდებზე.

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”  
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
თანხები მოცემული ათას ლარში

|                                            | განთავსებული<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>ზარალი | სხვა რეზერვები | სულ საკუთარი<br>კაპიტალი |
|--------------------------------------------|--------------------------|---------------------|----------------|--------------------------|
| 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით        | 37,382                   | (1,698)             | 2,430          | 38,114                   |
| წლის ზარალი                                | -                        | (10,702)            | -              | (10,702)                 |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>37,382</b>            | <b>(12,400)</b>     | <b>2,430</b>   | <b>27,412</b>            |
| წლის ზარალი                                | -                        | (615)               | -              | (615)                    |
| კაპიტალის ზრდა                             | 2,500                    | -                   | -              | 2,500                    |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>39,882</b>            | <b>(13,015)</b>     | <b>2,430</b>   | <b>29,297</b>            |

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 12-28 გვერდებზე.

შპს “რეგიონული ჯანდაცავის ცენტრი”  
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის თანხები  
თანხები მოცემული ათას ლარში

|                                                                    | შენიშვნა | 2024           | 2023           |
|--------------------------------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                    |          |                |                |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები                         |          | 18,158         | 15,256         |
| მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები  |          | (21,912)       | (23,624)       |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b> |          | <b>(3,754)</b> | <b>(8,368)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                     |          |                |                |
| მიღებული სუბსიდიები                                                |          | 1,220          | 2,000          |
| მიღებული სესხი                                                     |          | -              | 2,500          |
| სესხის დაფარვა                                                     |          | (2,500)        | -              |
| მიღებული საპროცენტო შემოსავალი                                     |          | 133            | 568            |
| გადახდილი საპროცენტო ხარჯი                                         |          | (84)           | (219)          |
| შეზღუდული ფულის მოძრაობა                                           |          | 2,520          | (2,520)        |
| კაპიტალის ზრდა                                                     |          | 2,500          | -              |
| <b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</b>     |          | <b>3,789</b>   | <b>2,329</b>   |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)</b>        |          | <b>35</b>      | <b>(6,039)</b> |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისში                                    |          | 59             | 6,098          |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>                  | 13       | <b>94</b>      | <b>59</b>      |

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია და განთავსებულია 12-28 გვერდებზე.

## 1. ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) (ს/ნ: 236035517) ჩამოყალიბდა შპს „იმედის“ რეორგანიზაციის შედეგად, რის საფუძველსაც წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 სექტემბრის #1/1-791 ბრძანება. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ წესდება დამტკიცებულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 დეკემბრის #1/1-1243 ბრძანების თანახმად.

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 100% წილის მფლობელია სახელმწიფო, 203840433.

წარმომადგენლობითი უფლება-მოსილება მინიჭებული აქვს კომპანიის დირექტორს. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ქუჩა მ.ასათიანი, N9.

ძირითადი საქმიანობა: ამბულატორიული და სტაციონალური სამედიცინო სერვისების განხორციელება.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია 100%-იან წილს ფლობს კომპანიებში: შპს ერედვის ამბულატორია, შპს ქსუისის ამბულატორია და შპს ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორია.

შპს ერედვის ამბულატორია (ს/ნ: 217888043), დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართია საქართველო, თეთრიწყაროს რაიონი, სოფელი კოდა. დირექტორი - ნანა ჩიხლაძე, 59003001032. აღნიშნული კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“.

შპს ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორია (ს/ნ: 240887448), დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართია საქართველო, ქარელის რაიონი, სოფელი ავნევი. დირექტორი - ლალი კაცელაშვილი, 43001017587. აღნიშნული კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“.

შპს ქსუისის ამბულატორია (ს/ნ: 217888034) დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართია საქართველო, მარნეულის რაიონი, შაუმიანის ახალი დასახლება. აღმასრულებელი დირექტორი - ლალი ვორონინი, 59001083093. აღნიშნული კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### 2.1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ დაშვებით, რომ ჯგუფი ფუნქციონირებადი საწარმოა და გააგრძელებს თავის საქმიანობას უახლოეს მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელს განზრახვა აქვთ, განაგრძონ ჯგუფის ბიზნესი საქართველოში. გარდა ამისა, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი შეიტანოს ჯგუფის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.2. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან რომლის გადახდა ხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);

დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

### 2.3. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არებობს რიგი ახალი სტანდარტების, რომლებიც ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ, და უფრო ადრეული გამოყენება ნებადართულია; თუმცა, ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი ან შესწორებული სტანდარტები ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და შესწორებულ სტანდარტებს არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- ფასს (IFRS) 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“
- ბასს (IAS) 21-ის ცვლილება: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.4. კონსოლიდაციის საფუძველი

#### i. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად მონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ მონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება.

#### ii. კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

### 2.5. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება, როცა მომსახურების გაწევა დასრულებულია, ამ შემოსავლის მისაღებად გაწეული ხარჯების შესაბამისად. შემოსავალი არის მომსახურების საფასურად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას გამოკლებული უკან დაბრუნებები, სავაჭრო ფასდაკლებები და გაყიდვებზე დამოკიდებული გადასახადები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით ჯგუფი ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს, განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს, გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შესადარისი ფასის საფუძველზე და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

### 2.6. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ყველა აქტივი წარმოდგენილია თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთისათვის:



## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

| ძირითადი საშუალებების ჯგუფი                | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|--------------------------------------------|------------------------------|
| შენობები                                   | 20 წელი                      |
| სამედიცინო დანადგარები და სხვა აღჭურვილობა | 5-10 წელი                    |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი                    | 5 წელი                       |
| სატრანსპორტო საშუალებები                   | 5 წელი                       |
| მიწა                                       | არ იცვითება                  |

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

### 2.7. მოკლევადიანი იჯარა

საიჯარო გადასახადი, რომლებიც არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების უფლებასთან, აღიარდება ხარჯად წრფივ მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. პირობითი იჯარის გადასახადები, რომლებიც წარმოიშობა ამგვარი იჯარის საფუძველზე, აღიარდება ხარჯად იმ პერიოდებში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

მოკლევადიანი იჯარები (საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები) და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა (როგორიცაა პერსონალური კომპიუტერები და საოფისე ავეჯი), აღიარებულია საიჯარო ხარჯებში წრფივი მეთოდის გამოყენებით ფასს 16-ის შესაბამისად. ნებისმიერი მოგება/(ზარალი), რომელიც წარმოიშობა საიჯარო კონტრაქტების გაუქმების ან შეცვლის შედეგად, მიეკუთვნება მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კატეგორიას.

### 2.8. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება კონსოლიდირებული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოძენას სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

### 2.9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ ხელფასებს და ნორმალური ფუნქციონირების შესაბამის საწარმოო ზედნაღებ დანახარჯებს.

მომველებული მარაგების ჩამოწერა ხდება მათი მომავალში მოსალოდნელი გამოყენების და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების ანალიზის შედეგად.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.10. ფინანსური ინსტრუმენტები

*თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება*

ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

*ფინანსური აქტივები*

*თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს-მოდელებზე. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ ქმედებებს იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება ტრანზაქციების ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ ქმედებებს მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული ტრანზაქციის ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI)“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

*შემდგომი შეფასება*

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები)
- მოგება-ზარალში ასახული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.10. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

*ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)*

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე რელევანტურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილებს:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის შერჩეულია ისეთი ბიზნეს-მოდელი, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (ესგ) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება მისი მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მისაღები თანხები. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია), ისინი კლასიფიცირდება მიმდინარე აქტივებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი წარდგენა ხდება გრძელვადიან აქტივებად.

*ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური აქტივის (ან, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების თავდაპირველი შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოწურულია; ან
- ჯგუფმა გაასხვისა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან იკისრა ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ფულადი ნაკადების მესამე პირისთვის სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე გადახდის ვალდებულება, ვალდებულების გადაკისრების შეთანხმების ფარგლებში; და ან (ა) ჯგუფმა გაასხვისა აქტივის ფლობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) ჯგუფს არც გაუსხვისებია და არც ინარჩუნებს აქტივის არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, თუმცა გასხვისებული აქვს კონტროლი აქტივზე.

*ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) ანარიცხს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მსზ ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის ჯგუფი, დისკონტირებულს თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებითი მნიშვნელობით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის სხვა საგარანტიო საშუალებების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.10. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

მსზ-ს აღიარება ხდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მსზ იქმნება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია დადგეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). საკრედიტო რისკის იმ პოზიციებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარჩეს, რომელიც ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

#### *ფინანსური ვალდებულებები*

##### *თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანებები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და კრედიტორულ დავალიანებებს და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

##### *შემდგომი შეფასება*

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, ქვემოთ აღწერილის შესაბამისად:

##### *აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოიწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლდება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო

##### *სავაჭრო მოთხოვნები*

მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს და გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალში.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.10. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

#### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

შეზღუდული ბალანსები არ შედის ფულად საშუალებებში და მის ექვივალენტებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. ბალანსები, რომლებიც შეზღუდულია, რომ იყოს გაცვლილი ან გამოყენებული ვალდებულების ანგარიშსწორებისთვის სულ მცირე თორმეტი თვით სააღრიცხვო პერიოდიდან, შედის შეზღუდულ ფულად საშუალებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფარგლებში.

### 2.11. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

|              | საშუალო კურსი |        | საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი |                        |                     |
|--------------|---------------|--------|-----------------------------------------------|------------------------|---------------------|
|              | 2024          | 2023   | 2024 წლის 31 დეკემბერი                        | 2023 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 1 იანვარი |
| 1 აშშ დოლარი | 2.7208        | 2,6598 | 2.9306                                        | 2,6998                 | 2,7020              |
| 1 ევრო       | 2.9440        | 2,8785 | 2.9306                                        | 3,0159                 | 2,8844              |

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

### 2.12. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე (1/85%\*15%) ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. ჯგუფის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოემოზათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

## 2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

### 2.13. ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

## 3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს ჯგუფის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

### *მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი*

ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელობანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

## 4. შემოსავალი სამედიცინო მომსახურების რეალიზაციიდან

სამედიცინო მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება (გაწერა პაციენტი) დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლისგან და 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შეადგენს 18,289 ათას ლარს (2023 წელი: 14,062 ათასი ლარი).

## 5. შრომის ანაზღაურება

კლინიკაში არსებობს ფიქსირებული და გამომუშავებული ხელფასი, რომელიც გაანგარიშდება პაციენტის მიერ სტაციონარში გატარებული დღეების, ამბულატორიული ვიზიტების, ჰონორარების და მორიგეობების მიხედვით. შრომის ანაზღაურება წარმოადგენს კომპანიის ხარჯების უდიდეს ნაწილს: 2024 წელს აღნიშნული ხარჯი შეადგენდა 17,044 ათასი ლარს (2023 წელი - 17,282 ათასი ლარი).

## 6. სამედიცინო საქონლის ხარჯი

სამედიცინო საქონლის ხარჯი 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის შეადგენს 1,662 ათას ლარს, რაც ძირითადად მოიცავს მედიკამენტების ჩამოწერის ხარჯს (2023 წელი: 2,483 ათასი ლარი).

## 7. კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი

კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი მოიცავს ელექტრო ენერგიის მოწოდების, ბუნებრივი აირის, წყლის მოწოდების და სხვა საკომუნიკაციო ხარჯებს რეგიონების მიხედვით, რაც 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 1,853 ათას ლარს (2023 წელი: 1,771 ათასი ლარი).

## 8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ჯგუფის სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 7,387 ათას ლარს, რაც უმეტესად შედგება, მფლობელისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან, მარაგებისა და ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ გადმოცემისგან (2023 წელი: 1,296 ათასი ლარი).

## 9. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

|                                         | 2024      | 2023       |
|-----------------------------------------|-----------|------------|
| საპროცენტო შემოსავალი                   | 133       | 566        |
| საპროცენტო ხარჯი                        | (55)      | (248)      |
| <b>სულ წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b> | <b>78</b> | <b>318</b> |

შპს “რეგიონული ჯანდაცავის ცენტრი”  
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის თანხები  
 თანხები მოცემული ათას ლარში

10. ძირითადი საშუალებები

|                                        | მიწის ნაკვეთები | შენობა-ნაგებობები | სამედიცინო<br>დანადგარები და<br>სხვა აღჭურვილობა | ავეჯი და<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ             |
|----------------------------------------|-----------------|-------------------|--------------------------------------------------|-----------------------|-----------------------------|-----------------|
| <i>თვითღირებულება</i>                  |                 |                   |                                                  |                       |                             |                 |
| 31 დეკემბერი 2022                      | 14,711          | 13,986            | 9,355                                            | 5,917                 | 222                         | 44,191          |
| შეძენა                                 | 732             | 402               | 2,703                                            | 2,862                 | 7                           | 6,706           |
| გადაფასება                             | -               | -                 | (1,099)                                          | (1,441)               | -                           | (2,540)         |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>               | <b>15,443</b>   | <b>14,388</b>     | <b>10,960</b>                                    | <b>7,338</b>          | <b>229</b>                  | <b>48,359</b>   |
| შეძენა                                 | -               | 1,351             | 7,353                                            | 20                    | 17                          | 8,741           |
| გადაფასება                             | -               | -                 | (3)                                              | (22)                  | -                           | (25)            |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>               | <b>15,443</b>   | <b>15,739</b>     | <b>18,310</b>                                    | <b>7,336</b>          | <b>246</b>                  | <b>57,075</b>   |
| <i>დაგროვილი ცვეთა</i>                 |                 |                   |                                                  |                       |                             |                 |
| 31 დეკემბერი 2022                      | -               | (6,040)           | (5,353)                                          | (4,502)               | (128)                       | (16,023)        |
| წლის ცვეთა                             | -               | (1,424)           | (709)                                            | (664)                 | (6)                         | (2,803)         |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>               | <b>-</b>        | <b>(7,518)</b>    | <b>(6,062)</b>                                   | <b>(5,166)</b>        | <b>(134)</b>                | <b>(18,880)</b> |
| წლის ცვეთა                             | -               | (1,591)           | (3,709)                                          | (309)                 | (53)                        | (5,662)         |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>               | <b>-</b>        | <b>(9,109)</b>    | <b>(9,771)</b>                                   | <b>(5,475)</b>        | <b>(187)</b>                | <b>(24,542)</b> |
| <i>საბალანსო ღირებულება</i>            |                 |                   |                                                  |                       |                             |                 |
| საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023 | 15,443          | 6,870             | 4,898                                            | 2,172                 | 95                          | 29,479          |
| საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2024 | 15,443          | 6,630             | 8,539                                            | 1,861                 | 59                          | 32,533          |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო დავალიანების გამო ჯგუფის მთელი ქონება დატვირთულია იპოთეკით/გირავნობით. ასევე სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ყადაღა ადევს ჯგუფის გარკვეულ ქონებას (შენიშვნა 22).



## 11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

|                                            | 31-დეკ-24    | 31-დეკ-23    |
|--------------------------------------------|--------------|--------------|
| სამედიცინო მედიკამენტები და სახარჯი მასალა | 3,753        | 3,884        |
| საწვავ-საცხები მასალები                    | 25           | 35           |
| ანარიცხები                                 | (440)        | (440)        |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები</b>  | <b>3,338</b> | <b>3,479</b> |

სასაქონლო-მატერიალური მარაგები არ არის დაგირავებული ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად.

## 12. სავაჭრო მოთხოვნები

|                               | 31-დეკ-24    | 31-დეკ-23    |
|-------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო მოთხოვნები            | 2,251        | 2,106        |
| გაუფასურების ზარალის ანარიცხი | (350)        | (673)        |
| <b>სულ სავაჭრო მოთხოვნები</b> | <b>1,901</b> | <b>1,433</b> |

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის არსებითი. 2024 და 2023 წლების განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

|                            |              |
|----------------------------|--------------|
| <b>31 დეკემბერი 2022</b>   | <b>(158)</b> |
| პერიოდში რეზერვის ცვლილება | (515)        |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>   | <b>(673)</b> |
| პერიოდში რეზერვის ცვლილება | 323          |
| <b>31 დეკემბერი 2024</b>   | <b>(350)</b> |

## 13. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                        | 31-დეკ-24 | 31-დეკ-23 |
|----------------------------------------|-----------|-----------|
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში           | 88        | 53        |
| ეროვნული ვალუტა საღაროში               | 6         | 6         |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>94</b> | <b>59</b> |

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ფულადი სახსრები 2,520 ლარის ოდენობით წარმოადგენდა ფინანსურ გირავნობას მოკლევადიანი სასესხო ხელშეკრულებისათვის, რომელიც კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო, როგორც შეზღუდული ფულის სახით. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოათავისუფლა არსებული ფულადი სახსრები.

## 14. საკუთარი კაპიტალი

### (ა) განთავსებული კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 39,882 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერი: 37,382 ათასი ლარი). 2024 წლის განმავლობაში მფლობელმა კაპიტალში შეიტანა 2,500 ათასი ლარის ფულადი სახსრები.

#### 14. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

##### (ბ) დაგროვილი ზარალი

31 დეკემბერი 2024 და 31 დეკემბერი 2023 წლების მდგომარეობით ჯგუფის დაგროვილი ზარალი შეადგენდა 13,015 ათას ლარს და 12,400 ათას ლარს, შესაბამისად.

##### (გ) სხვა რეზერვი

ჯგუფის სხვა რეზერვები და დაფინანსება წარმოადგენს ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად წარმოქმნილ რეზერვს, რაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,430 ათას ლარს (2023 წლის: 2,430 ათას ლარი).

#### 15. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა, ჯგუფი მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ძლიერი კაპიტალური ბაზა, ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების მხარდასაჭერად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. ამ ზომების გამოყენებით, ჯგუფი მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. ჯგუფის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. ჯგუფი არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ჯგუფის კორექტირებული წმინდა დავალიანების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან არის შემდეგი:

|                                                         | 31-დეკ-24     | 31-დეკ-23     |
|---------------------------------------------------------|---------------|---------------|
| სულ ვალდებულებები                                       | 8,579         | 9,568         |
| გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები      | 94            | 59            |
| <b>წმინდა ვალდებულებები</b>                             | <b>8,485</b>  | <b>9,509</b>  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                            | <b>29,297</b> | <b>27,412</b> |
| <b>წმინდა ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან</b> | <b>29%</b>    | <b>35%</b>    |

#### 16. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს ჯგუფის მიერ გრანტით მიღებულ სუბსიდიებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული შემოსავლის ნაშთი შეადგენს 3,688 ათას ლარს (2023 წელი: 2,468 ათასი ლარი).

#### 17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                          | 31-დეკ-24    | 31-დეკ-23    |
|------------------------------------------|--------------|--------------|
| სავაჭრო ვალდებულებები                    | 1,154        | 2,143        |
| სხვა ვალდებულებები                       | 196          | 184          |
| გადასახდელი საპენსიო დაკავებები          | 479          | 246          |
| მიღებული ავანსები                        | 14           | 15           |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>1,843</b> | <b>2,588</b> |

## 18. მიღებული სესხები

ჯგუფმა 2023 წელს აიღო მოკლევადიანი საბანკო სესხი, 2,500 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც დაფარა 2024 წელს.

|                                              | 2024         |
|----------------------------------------------|--------------|
| <b>მიღებული სესხის ნაშთი 1 იანვრისთვის</b>   | <b>2,529</b> |
| პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები       | 55           |
| დარიცხული პროცენტი                           | (84)         |
| გადახდილი პროცენტი                           | (2,500)      |
| <b>მიღებული სესხი ნაშთი 31 დეკემბრისთვის</b> | <b>-</b>     |

## 19. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას ჯგუფს გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა იმისა, დებიტორი ვერ შეძლებს გადაიხადოს დავალიანება ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდობის რისკი: რისკი იმისა, რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკები: რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, ჯგუფი იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

| <b>ფინანსური აქტივები</b>     | <b>31-დეკ-24</b> | <b>31-დეკ-23</b> |
|-------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები            | 1,901            | 1,433            |
| შეზღუდული ფული ბანკში         | -                | 2,500            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები   | 94               | 59               |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b> | <b>1,995</b>     | <b>3,992</b>     |

| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     | <b>31-დეკ-24</b> | <b>31-დეკ-23</b> |
|------------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 1,843            | 2,588            |
| გადასახდელი ხელფასები              | 850              | 841              |
| საგადასახადო ვალდებულებები         | 2,198            | 1,142            |
| მიღებული სესხი                     | -                | 2,529            |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>4,891</b>     | <b>7,100</b>     |

## 19. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი

ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა.

### ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ჯგუფი მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დასაფარი ვადებით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები):

| 31 დეკემბერი 2024                  | 1 წელზე<br>ნაკლები | 1-5 წელი | 5 + წელი | სულ            |
|------------------------------------|--------------------|----------|----------|----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                    |          |          |                |
| სავაჭრო მოთხოვნები                 | 1,901              | -        | -        | 1,901          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 94                 | -        | -        | 94             |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>1,995</b>       | <b>-</b> | <b>-</b> | <b>1,995</b>   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                    |          |          |                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | (1,843)            | -        | -        | (1,843)        |
| გადასახდელი ხელფასები              | (850)              | -        | -        | (850)          |
| საგადასახადო ვალდებულებები         | (2,198)            | -        | -        | (2,198)        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>(4,891)</b>     | <b>-</b> | <b>-</b> | <b>(4,891)</b> |
| <b>წმინდა ლიკვიდობის სხვაობა</b>   | <b>(2,896)</b>     | <b>-</b> | <b>-</b> | <b>(2,896)</b> |

| 31 დეკემბერი 2023                  | 1 წელზე<br>ნაკლები | 1-5 წელი | 5 + წელი | სულ            |
|------------------------------------|--------------------|----------|----------|----------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                    |          |          |                |
| სავაჭრო მოთხოვნები                 | 1,433              | -        | -        | 1,433          |
| შეზღუდული ფული ბანკში              | 2,500              | -        | -        | 2,500          |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 59                 | -        | -        | 59             |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>3,992</b>       | <b>-</b> | <b>-</b> | <b>3,992</b>   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                    |          |          |                |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | (2,588)            | -        | -        | (2,588)        |
| გადასახდელი ხელფასები              | (840)              | -        | -        | (840)          |
| საგადასახადო ვალდებულებები         | (1,142)            | -        | -        | (1,142)        |
| მიღებული სესხი                     | (2,529)            | -        | -        | (2,529)        |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>(7,099)</b>     | <b>-</b> | <b>-</b> | <b>(7,099)</b> |
| <b>წმინდა ლიკვიდობის სხვაობა</b>   | <b>(3,107)</b>     | <b>-</b> | <b>-</b> | <b>(3,107)</b> |

### სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ჯგუფს არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად. 2023 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები.

## 20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს რაც შეიძლება ზუსტად იქნას განსაზღვრული ღირებულება, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა შესაძლებელია კარგად გათვითცნობიერებულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რომელთაც დანამდვილებით სურთ ამგვარი გარიგების დადება. თუმცა, არსებული გაურკვევლობისა და შეფასების სუბიექტურობის გამო, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას განხილული ღირებულებად, რომლითაც შესაძლებელია აქტივების დაუყოვნებლივ რეალიზება ან ვალდებულებების შესრულება.

ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:

| ფინანსური აქტივები          | 31-დეკ-24 |                      |                        |
|-----------------------------|-----------|----------------------|------------------------|
|                             | შენიშვნა  | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
| სავაჭრო მოთხოვნები          | 3         | 1,901                | 1,901                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1         | 94                   | 94                     |

| ფინანსური ვალდებულებები       | საბალანსო ღირებულება სამართლიანი ღირებულება |       |       |
|-------------------------------|---------------------------------------------|-------|-------|
|                               |                                             |       |       |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 3                                           | 1,843 | 1,843 |
| გადასახდელი ხელფასები         | 3                                           | 850   | 850   |
| საგადასახადო ვალდებულებები    | 3                                           | 2,198 | 2,198 |

| ფინანსური აქტივები          | 31-დეკ-23 |                      |                        |
|-----------------------------|-----------|----------------------|------------------------|
|                             | შენიშვნა  | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
| სავაჭრო მოთხოვნები          | 3         | 1,433                | 1,433                  |
| შეზღუდული ფული ბანკში       | 1         | 2,500                | 2,500                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 1         | 59                   | 59                     |

| ფინანსური ვალდებულებები       | საბალანსო ღირებულება სამართლიანი ღირებულება |       |       |
|-------------------------------|---------------------------------------------|-------|-------|
|                               |                                             |       |       |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 3                                           | 2,588 | 2,588 |
| გადასახდელი ხელფასები         | 3                                           | 841   | 841   |
| საგადასახადო ვალდებულებები    | 3                                           | 1,142 | 1,142 |
| მიღებული სესხი                | 3                                           | 2,529 | 2,529 |

## 21. პირობითი ვალდებულებები

### სასამართლო დავა

ჯგუფი, როგორც მოპასუხე, ჩართულია სასამართლო დავაში. დავის საგანს წარმოადგენს ქონება, რომელიც მესამე მხარის მიერ საკუთარი სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით იყო იპოთეკით დატვირთული. თუმცა აღნიშნული ქონება მანამდე უკვე გადასული იყო ჯგუფის საკუთრებაში. შესაბამისად, გასესხებელმა საქმე აღძრა ჯგუფის წინააღმდეგ. სამართლებრივი კონსულტაციების საფუძველზე მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არსებობს 50%-იანი ალბათობა, რომ დავა წაგებით დასრულდეს. აღნიშნული საქმის საფუძველზე, სასამართლომ ყადაღა დაადო კომპანიის გარკვეულ ქონებას.

## 22. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფი ყოველდღიურად ახორციელებს ოპერაციებს რიგ ორგანიზაციებთან, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ინდივიდუალურად ან ერთობლივად აკონტროლებს. ჯგუფი იყენებს გათავისუფლების პუნქტს ბასს 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები, პარაგრაფი 25) მიხედვით, რაც მას საშუალებას აძლევს მთავრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს წარუდგინოს შემცირებული ინფორმაცია ოპერაციების შესახებ.

*ოპერაციები მმართველ ორგანოებთან*

|                        | 2024      | 2023      |
|------------------------|-----------|-----------|
| დირექტორის ანაზღაურება | 57        | 63        |
| <b>სულ</b>             | <b>57</b> | <b>63</b> |

*ოპერაციები და ნაშთები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან*

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა ა(ა)იპ “საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისგან” უსასყიდლოდ მიიღო 3,942 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები (2023: 741 ათასი ლარი).

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა ა(ა)იპ “საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისგან” მიიღო სუბსიდია 1,219 ათასი ლარის ოდენობით (2023: 2,000 ათას ლარს), ხოლო მიღებული სუბსიდიის ფარგლებში გადავადებული შემოსავლის ნაშთი წარმოდგენილია 3,688 ათასი ლარით (2023 წლის 31 დეკემბერი: 2,468 ათასი ლარი) და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადავადებული შემოსავლის სახით.

## 23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წელს ჯგუფმა უსასყიდლოდ მიიღო ა(ა)იპ “საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისგან” 971 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები.

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის”

მმართველობის ანგარიშგება

## ზოგადი ინფორმაცია

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი” ჩამოყალიბდა შპს “იმედის” რეორგანიზაციის შედეგად, რის საფუძველსაც წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 სექტემბრის #1/1-791 ბრძანება. შ.პ.ს

„რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ წესდება დამტკიცებულია დამფუძნებლის ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მიერ და დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში.

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი” აყვანილია სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაციაზე და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 236035517.

2024 წლის დეკემბრის მონაცემებით ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის 2024 წლის 12 იანვრის N 1000395 3 24 00000001 ბრძანებით დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნული იყო მამუკა მაჭავარიანი. საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ქ. თბილისი, მ. ასათიანის ს ქუჩა # 9.

100% წილის მმართველი და მესაკუთრე არის ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის ბრძანება # 01- 3460 საფუძველზე შპს “რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრს” შეერწყა შპს „რეგიონალური სამედიცინო ცენტრი“ (ს/კ 400125002) რის შედეგადაც შ.პ.ს „რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრს“ გაეზარდა საწესდებო კაპიტალი 4,969,360 ლარით, აღნიშნული თანხა მთლიანად გადარიცხულია შ.პ.ს „ალიანს მედი+“ - ის ანგარიშზე, თანახმად (2014 წლის 12 დეკემბრის თანხის გადარიცხვის შესახებ #2 ადმინისტრაციული ხელშეკრულება), შ.პ.ს „ალიანს მედი+“-ს, შ.პ.ს „სადაზღვეო კომპანია ჯი-პი-აი ჯგუფ“-სა და შ.პ.ს „რეგიონალური სამედიცინო ცენტრს“ შორის 2014 წლის 13 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, წილის ნასყიდობის შესახებ.

2015 წლის 1 იანვრისათვის საზოგადოების კაპიტალი შეადგენდა 14,756,904 ლარს. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №302 განკარგულების შესაბამისად, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრსა“ და შპს „ჯეო ჰოსპიტალსს“ შორის მიმდინარე წლის 20 აპრილს დაიდო უძრავ-მოდრავი ქონების ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრმა“ გამოიყიდა საქართველოს მუნიციპალიტეტებში ბორჯომის (დაბა ბაკურიანი), ყაზბეგის (დაბა სტეფანწმინდა), თიანეთის (დაბა თიანეთი), თეთრიწყაროსა (ქ. თეთრიწყარო) და წალკის (ქ. წალკა) შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“-ს მოქმედი სამედიცინო ცენტრების უძრავ-მოდრავი ქონება, რის საფუძველზეც კაპიტალი გაიზარდა 9,471,422 ლარით, და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგინა 24,218,934 ლარი.

2016 წლის განმავლობაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 04/04/2016წ. N01-74/ო და 03/08/2016წ. N01-182/ო პრძანებების თანახმად, საზოგადოების კაპიტალიდან ამოღებული იქნა მესტიისა და ქარელის კლინიკები, შესაბამისად 1 729 469.65 და 1 271 769.43 ლარის ღირებულებით, რითაც საწესდებო კაპიტალი ჯამურად შემცირდა 3 001 239.08 ლარით. ამავე პერიოდში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 26/09/2016წ. N01-214/ო და 18/10/2016წ. N01-223/ო ბრძანებების თანახმად, საზოგადოების კაპიტალში შეტანილი იქნა დედოფლისწყაროსა და ხარაგაულის ახალი კლინიკები, შესაბამისად 4246128.85 და 1930171.33 ლარის ღირებულებით, რითაც საზოგადოების კაპიტალი გაიზარდა ჯამურად 6 176 300.18 ლარით, ამდენად 2016 წლის განმავლობაში დაფიქსირდა საზოგადოების კაპიტალის ზრდა 3 175 061.1 ლარით და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 27 403 387.14 ლარი.



2017 წლის განმავლობაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 06.10.2017წ. N01-217/ო, 29.12.2017წ. N01-294/ო, 13/04/2017წ. N01-76/ო და 13/06/2017წ. N01-135/ო ბრძანებების თანახმად, საწესდებო კაპიტალი ჯამურად გაიზარდა 4874905.87 ლარით. მათ შორის საზოგადოების კაპიტალში შეტანილი იქნა ქ.ზუგდიდის „C ჰეპატიტის რეგიონული სკრინინგ ცენტრი“ და დაბა ლენტეხის მრავალპროფილიანი (10 საწოლზე) კლინიკა, შესაბამისად 1 773 822.25 და 3 069 515.62 ლარის ღირებულებით, რითაც 2017 წლის განმავლობაში დაფიქსირდა საზოგადოების კაპიტალის ზრდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალმა შეადგინა 32275461.33 ლარი.

2018 წლის განმავლობაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 13/09/2018წ. N01-135/ო, 05/07/2018წ. N01-157/ო, 30.10.2018წ. N01-1276/ო, 12.11.2018წ. N01-1296/ო და 13.12.2018წ. N01-1338/ო ბრძანებების თანახმად, საწესდებო კაპიტალი ჯამურად გაიზარდა 3971684.57 ლარით. მათ შორის საზოგადოების კაპიტალში შეტანილი იქნა 1 943 141 ლარი, შემდგომში შპს „დმანისის ცენტრალური სავადმყოფო“-ს 100% წილის გამოსყიდვის მიზნით და 1 178 784.72 ლარი - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში, ახლად აშენებული და აღჭურვილი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის ღირებულების სახით და შპს „ო. ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი“-ს სახლმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი 1 195 170 ლარის ღირებულებით. ამასთანავე 2018 წლის ოქტომბერში საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის ცვლილებიდან გამომდინარე, კაპიტალიდან ამოღებული იქნა ივ.ჯავახიშვილის ქ. #51-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ფართი მისზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთით, საერთო ღირებულებით - 459 292 ლარი, რის სანაცვლოდაც კაპიტალში შეტანილი იქნა მ. ასათიანის ქ. #9-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ფართი მისზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით, ჯამური ღირებულებით – 24 365.96 ლარი. ჯამურად 2018 წლის განმავლობაში დაფიქსირდა საზოგადოების კაპიტალის ზრდა და 31 დეკემბრის მდგომარეობით კაპიტალმა შეადგინა 36247145.90 ლარი.

2019 წლის განმავლობაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 26/03/2019წ. N01-117/ო; 19/07/2019წ. N01-232/ო; 22/08/2019წ. N01-268/ო და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 19/11/2019წ. N1/1-6138 და 13/12/2019წ. #1/1-6800 ბრძანებების თანახმად საზოგადოების კაპიტალში შეტანილი იქნა 1180384.15 ლარის ღირებულების საოფისე ინვენტერი და სამედიცინო აღჭურვილობა, ხოლო 30/09/2019წ. N01-293/ო ბრძანების თანახმად კაპიტალიდან ამოღებული იქნა ქალაქ მცხეთაში,ზაჰესი, კასკადის ქუჩა, N12-ში (საკადასტრო კოდი: 72.12.03.401) მდებარე 111 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ღირებულებით 3663,00 (სამი ათას ექვსასსამოცდასამი) ლარი და მასზე განთავსებული 77,31 კვ.მ. შენობა-ნაგებობა ღირებულებით 5336,00 (ხუთი ათას სამასოცდათექვსმეტი) ლარი. შესაბამისად საწესდებო კაპიტალი ჯამურად გაიზარდა 727052.15 ლარით. ამდენად 2019 წლის განმავლობაში დაფიქსირდა საზოგადოების კაპიტალის ზრდა და 31/12/2019წ. მდგომარეობით შეადგინა 37418531.05 ლარი. ამასთანავე 2019 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 29/10/2019წ. N01-326/ო ბრძანების თანახმად, განხორციელდა საზოგადოების რეორგანიზაცია, მასთან შპს „ო. ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი“-ს შერწყმა-მიერთების გზით, რომლის 100% წილის მფლობელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, 2018 წლის 12 ნოემბრის #01-1296/ო ბრძანების თანახმად, გახლდათ შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი”.

2022 წლის განმავლობაში, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ წესდების მე-6 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ 23.05.2022 წლის N 13/400 წერილისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 10.06.2022 წლის MOH 4 22 00021179 წერილის, აუდიტორული კომპანია შპს „გგ აუდიტ ჯორჯიას“ 19.10.2021 წლის აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, საზოგადოების კაპიტალიდან ამოღებული იქნა ქ.თბილისში, მ. ასათიანის N9 (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.10.15.006.075. მიწის ნაკვეთი ფართით 386.28 კვ.მ და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N2-ის მეორე სართულზე მდებარე 314.3 კვ.მ ფართი და სარდაფი ფართით 299.03 კვ.მ) უძრავი ქონება ღირებულებით 36

876.89 ლარი. ამდენად 2022 წლის განმავლობაში დაფიქსირდა საზოგადოების კაპიტალის შემცირება 36 876.89 ლარით და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 37 381 654.16 ლარი.

2024 წლის 23 თებერვლის ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ 1000395 2 24 00000028 ბრძანების საფუძველზე შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის კაპიტალში შეტანილ იქნა 2 500 000 ლარი . ასევე, 2024 წლის 25 აპრილს ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ N1000395 8 24 00000060 ბრძანების თანახმად საზოგადოების კაპიტალში შეტანილი იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, საკრებულოს გარე სავარგულებში, ოზურგეთში (ლევკიანი) მდებარე 19009.00 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა: N1 განაშენიანების ფართი 1184.5 კვ.მ საერთო ფართი 1987.3 კვ.მ. ოთახების რაოდენობა 23, სართულიანობა 1 სარდაფით და სხვებით. N2 განაშენიანების ფართი 151,2 კვ.მ საერთო ფართი 137 კვ.მ. ოთახების რაოდენობა 6, სართულიანობა 1 (მიწის საკადასტრო კოდი N 26.36.04.003). ასევე, ამავე ბრძანების დანართი N1 -ით წარმოდგენილი მოძრავი ქონება.

23/05/2014 წლიდან საზოგადოება წარმოადგენს შპს „ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორიის“ (ს/კ 240887448), შპს „ერედვის ამბულატორიის“ (ს/კ 217888043) და შპს „ქსუისის ამბულატორიის“ (ს/კ 217888034) 100% წილის მფლობელს. ეს შვილობილი საწარმოები წარმოადგენენ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ იურიდიულ პირებს, რომლებიც დისლოცირებულნი არიან დროებით მისამართებზე და აღარ გააჩნიათ საკუთრებაში არანაირი აქტივები (ქონება და მატ. ფასეულობები). მათი 100% წილის ღირებულებითი ექვივალენტი ნულის ტოლია.

## მიზანი და სტრატეგია

ჯანმრთელობის დაცვა სოციალური სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი განვითარება ნებისმიერი ხელისუფლების ზრუნვის ძირითადი საგანია. ცივილიზებულ საზოგადოებაში, ადამიანთა სოციალური მდგომარეობისა და მატერიალური უზრუნველყოფის დონის მიუხედავად, ჯანდაცვის მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საქართველოში ჯანდაცვა ათწლეულების მანძილზე (მხედველობაში გვაქვს საბჭოთა პერიოდი) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხორციელდებოდა და იგი პრაქტიკულად ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სოციალური სფეროს ყველა დარგი მძიმე პირობებში აღმოჩნდა. ეს სიტუაცია განსაკუთრებით აისახა ჯანდაცვის სფეროზე. მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის, სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებისა და სტრუქტურის არსებითი ცვლილების, დარგის სახელმწიფო დაფინანსების მკვეთრი დაქვეითების პირობებში ადამიანთა უმეტესობისათვის ჯანდაცვის მომსახურება თითქმის ხელმიუწვდომელი გახდა. თუმცა XXI საუკუნის დასაწყისში მშენიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, რამაც შესაბამისი შედეგებიც გამოიღო მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით.

საზოგადოების განვითარების კონცეფცია წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის ხედვას, რომელშიც თავმოყრილია დარგის განვითარების საფუძვლები, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებულ პრინციპებთან და ფასეულობებთან მიმართებაში. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საზოგადოების პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად ფასეულობებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლიანობა, რაც, სხვა მიმართულებებთან ერთად, მოიცავს სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას.

საზოგადოების ძირითადი მიზანია პაციენტის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული, კვალიფიციური, ხარისხიანი და სწრაფად ხელმისაწვდომი სამედიცინო სერვისების განვითარება და მიწოდება საქართველოს იმ რეგიონების მოსახლეობისათვის, რომლებიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით დაშორებული არიან ქვეყნის მსხვილ ადმინისტრაციულ ცენტრებსა და ქალაქებს.

საზოგადოების მიზანი შესაბამისად მოიცავს ჯანდაცვის სექტორის განვითარების ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა უნივერსალიზმი, მდგრადობა, ხარჯთ-ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობა და ჯანდაცვის მიზნებისათვის უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ჯანდაცვის ეკონომიკურ არგუმენტებს, რომელთა თანახმადაც, საზოგადოების ჯანმრთელობა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. გარდა ამისა, ჯანდაცვა თავად წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს დასაქმების, ახალი ტექნოლოგიების კვლევებისა და განვითარების, ასევე ზოგადად, ეკონომიკური აქტივობების თვალსაზრისით.

აღნიშნული ფასეულობების, პრინციპებისა და არგუმენტების საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებული პოლიტიკური დეკლარაციები და სამოქმედო პლატფორმები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. საზოგადოების საქმიანობა ეყრდნობა შემდეგ სამართლებრივ დოკუმენტებს: საქართველოს კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ და ამ კანონებიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებს: ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია 2010-2022 წწ.; ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია „ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა“ - 2011-2015 წწ., „ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“ – 2015- 2022 წ.

სტრატეგიული მენეჯმენტი მოწოდებულია, გაზარდოს ცვლილებებისადმი ორგანიზაციის ადაპტაციის უნარი. ცვლილებები, ერთი მხრივ, წარმოშობს საფრთხეებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ბიზნესისთვის ახალი შესაძლებლობების წყაროა. მაგალითად, ინტერნეტის გამოყენებამ საფუძველი დაუდო ელექტრონული კომერციის უსწრაფეს განვითარებას. ამასთან, მუდმივად გათვალისწინებულია ისიც, რომ სწრაფად ცვალებადი კონკურენტული გარემოცვის პირობებში ინოვაცია დიდხანს არ ინარჩუნებს სიახლეს. სტრატეგია, რომელსაც იყენებს კომპანია, სწრაფად იქცევა ტიპურად, ანუ აღარ წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის წყაროს, ამიტომ, დიდი ყურადღება ეთმობა ცვლილებებს. სტრატეგიული მენეჯმენტის სახით კომპანია იყენებს სამ უმთავრეს პრინციპს, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1. ბაზარზე სტრატეგიული ქმედებების მართვა: იმ სტრატეგიის შემუშავება, დაზუსტება და რეალიზება, რომელიც იძლევა ბაზარზე წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. სტრატეგია არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც იცვლება ურთიერთობები პარტნიორებთან და კონკურენტებთან. სწორედ მისი რეალიზების მეშვეობით აღწევს ორგანიზაცია კონკურენტულ უპირატესობას.
2. ორგანიზაციის მართვა: ორგანიზაციის შიდა ცვლილებები განსაზღვრავს ბაზარზე მისი მოღვაწეობის მიმართულებებს. ამგვარი ცვლილებების გარეშე ორგანიზაცია ვერ შეძლებს, შეცვალოს საკუთარი მახასიათებლები: ტექნიკური აღჭურვა, ორგანიზაციული სტრუქტურა და მასში დასაქმებული ხელმძღვანელებისა და სხვა თანამშრომლების პროფესიული ოსტატობა. ორგანიზაციული ცვლილებები გარე გარემოს ცვალებადობაზე რეაგირების, მათთან ადაპტირების და საკუთარი მიზნებისთვის მათი გამოყენების საშუალებას აძლევს კომპანიას.
3. სტრატეგიული მენეჯმენტის რეალიზება: ნიშნავს ურთიერთქმედებას სტრატეგიასა (ის, რასაც ორგანიზაცია აკეთებს ბაზარზე) და ორგანიზაციულ პროცესებს შორის (ის, რაც საკუთრივ ორგანიზაციაში ხდება).

საზოგადოების მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნის სიღრმე დიდწილად განსაზღვრავს ბაზარზე მის ქცევას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, აგრეთვე, მათი გამოწვევა და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება.

ნებისმიერი კომპანიისათვის ბიზნესის მოცულობასთან დაკავშირებული საკითხები ცენტრალურია. მასშტაბების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მან რეალურად უნდა შეაფასოს მის ხელთ არსებული რესურსები და ამის შესაბამისად შეარჩიოს ხელმისაწვდომი ვარიანტები. არც ერთ კომპანიას არ შეუძლია, ბაზარს შესთავაზოს პროდუქციის ან მომსახურების უსასრულო არჩევანი. თვით პარტნიორების დახმარებითაც კი, მას არ ძალუძს, მოიცვას ყველა პოტენციური მომხმარებელი. რეალურად, მხოლოდ მცირე მათგანს შეუძლია იმოქმედოს საკუთარი დარგის ყველა სეგმენტზე, ამიტომ მასშტაბის განსაზღვრისას ორგანიზაცია ირჩევს იმ “სათამაშო მოედანს”, რომელიც ყველაზე უკეთ პასუხობს მის

ინტერესებს და შესაძლებლობებს. სწორედ აქ გააჩნია მას ყველაზე წონადი კონკურენტული უპირატესობა.

## საქმიანობა

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებას წარმოადგენს ამბულატორიული და სტაციონარული, გადაუდებელი და გეგმიური, მ.შ. დიაგნოსტიკური (კლინიკური, ბიოქიმიური და იმუნოლოგიური ლაბორატორიული კვლევები, რენტგენოლოგიური კვლევა, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა და ა.შ.) სამედიცინო სერვისების მიწოდება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობისათვის.

შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ 2024 წლის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, სამედიცინო მომსახურებას უწევდა 9 რეგიონსა და 21 დასახლებულ პუნქტს, (მოსახლეობა დაახლოებით 400 000):

| №  | რეგიონი       | მისამართი                        | გადმოცემის თარიღი          | სამედიცინო მომსახურების ტიპი                          | საწოლების რაოდენობა | შენიშვნა                                                                          |
|----|---------------|----------------------------------|----------------------------|-------------------------------------------------------|---------------------|-----------------------------------------------------------------------------------|
| 1  | ლანჩხუთი      | ჭანტურიას ქ. N21                 | <a href="#">11/15/2013</a> | სტაციონარი, ამბულატორია                               | 18                  | ფუნქციონირებს, მაგრამ ალარ შეესებაშემა სამედიცინო საქმიანობის სანებართვო პირობებს |
| 2  | ლენტეხი       | ჯ.მეშველიანის ქ. N4              | <a href="#">6/13/2017</a>  | სტაციონარი, ამბულატორია                               | 14                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 3  | ბორითი        | ხარაგაულის რაიონი, სოფელი ბორითი | <a href="#">7/2/2014</a>   | ცალკე მდგომი EMERGENCY                                | 5                   | ფუნქციონირებს                                                                     |
| 4  | ცაგერი        | რუსთაველის ქ. N31                | <a href="#">12/13/2014</a> | სტაციონარი, ამბულატორია                               | 23                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 5  | ონი           | ვახტანგ მე-6 ქ. N10              | <a href="#">12/13/2014</a> | სტაციონარი, ამბულატორია                               | 15                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 6  | ამბროლაური    | ბრატისლავა-რაჭის ქ. N11          | <a href="#">2/19/2015</a>  | სტაციონარი, ამბულატორია                               | 20                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 7  | გუდაური       | გუდაური                          | <a href="#">12/22/2014</a> | ცალკე მდგომი EMERGENCY                                | 3                   | ფუნქციონირებს                                                                     |
| 8  | ბაკურიანი     | დაბა ბაკურიანი, კ. წაქაძის ქ. N2 | <a href="#">4/20/2015</a>  | სტაციონარი, ამბულატორია                               | 5                   | ფუნქციონირებს                                                                     |
| 9  | წალკა         | ქ. წალკა, ე. თაყაიშვილის ქ. N4   | <a href="#">4/20/2015</a>  | სტაციონარი, ამბულატორია                               | 15                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 10 | თეთრიწყარო    | რუსთაველის ქ.                    | <a href="#">4/20/2015</a>  | სტაციონარი, ამბულატორია                               | 15                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 11 | სტეფანწმინდა  | ა. ყაზბეგის ქ. N35               | <a href="#">4/20/2015</a>  | სტაციონარი, ამბულატორია                               | 15                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 12 | თიანეთი       | რუსთაველის ქ. N75                | <a href="#">4/20/2015</a>  | სტაციონარი, ამბულატორია                               | 15                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 13 | ხარაგაული     | დედარიანის ქ. N41                | <a href="#">10/18/2016</a> | სტაციონარი, ამბულატორია                               | 14                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 14 | დედოფლისწყარო | ნატროშვილის ქ.                   | <a href="#">9/26/2016</a>  | სტაციონარი, ამბულატორია                               | 25                  | ფუნქციონირებს                                                                     |
| 15 | ზუგდიდი       | დ.ადამაშენებლის ქ. N222          | <a href="#">4/13/2017</a>  | "C" ჰეპატიტის რეგიონული სკრინინგ ცენტრი (ამბულატორია) |                     | ფუნქციონირებს                                                                     |

|    |                 |                                   |                            |                                           |     |               |
|----|-----------------|-----------------------------------|----------------------------|-------------------------------------------|-----|---------------|
| 16 | სოფელი<br>დუისი | სოფ.დუისი                         | <a href="#">5/7/2018</a>   | გადაუდებელი და<br>გეგმიური<br>ამბულატორია | 5   | ფუნქციონირებს |
| 17 | დმანისი         | ქ. დმანისი წმინდა<br>ნინოს ქ. N37 | <a href="#">3/10/2018</a>  | სტაციონარი,<br>ამბულატორია                | 20  | ფუნქციონირებს |
| 18 | ქ. ქუთაისი      | ქ.ქუთაისი ო.<br>ჩხოზაძის ქ. N20   | <a href="#">12/11/2018</a> | სტაციონარი,<br>ამბულატორია                | 110 | ფუნქციონირებს |
| 19 | დ.აბასთუმანი    | დ.აბასთუმანი<br>რუსთაველის N84    | <a href="#">09/14/2022</a> | გადაუდებელი და<br>გეგმიური<br>ამბულატორია | 4   | ფუნქციონირებს |
| 20 | ლევანი          | ოზურგეთი (ლევანი)                 | <a href="#">04/25/2022</a> | ცალკე მდგომი<br>EMERGENSY                 | 5   | ფუნქციონირებს |
| 21 | ფოთი            | 9 აპრილის ხეივანი N<br>26         | <a href="#">07/24/2022</a> | დიალიზის ცენტრი                           |     | ფუნქციონირებ  |

„ცენტრი“ წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულებათა ქსელს, რომელშიც სამედიცინო მომსახურების ტიპის მიხედვით თავმოყრილია სამი განსხვავებული პროფილის კლინიკების, ესენია:

1. კლინიკები, რომლებშიც ხდება როგორც სტაციონარული ასევე ამბულატორიული, გეგმიური და გადაუდებელი სამედიცინო სერვისების მიწოდება მედიცინის სხვადასხვა დარგების შესაბამისად: თერაპია, კარდიოლოგია, ნევროლოგია, ოფთალმოლოგია, ოტორინოლარინგოლოგია, ამბულატორიული ქირურგია, ენდოკრინოლოგია, ლაბორატორიული და რადიოლოგიური დიაგნოსტიკა და ა.შ; როგორებიცაა ლანჩხუთის, ლენტეხის, ცაგერის, ონის, ქუთაისის, დედოფლისწყაროს და ა.შ. სამედიცინო დაწესებულებები;
2. გადაუდებელი ამბულატორიული სამედიცინო სერვისების მიმწოდებელი ე.წ. ცალკე მდგომი EMERGENSY სამედიცინო დაწესებულებები წარმოადგენილია ბორითისა და გუდაურისა კლინიკების სახით, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადად პირველად გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.
3. სპეციალიზირებული ცენტრი:
  - 3.1 ქ. ზუგდიდის "C" ჰეპატიტის რეგიონული სკრინინგ ცენტრი (ამბულატორია), რომელიც წარმოადგენს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილების „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებას.
  - 3.2 ქ. ფოთში მდებარე დიალიზის ცენტრი, რომელიც წარმოადგენს დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის განხორციელებაში ასევე ჩართულია ქ. ლანჩხუთის მულტიპროფილური სამედიცინო დაწესებულებაც.

საზოგადოება სამედიცინო საქმიანობას ახორციელებდა და ახორციელებს ძირითადად “საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ” საქართველოს მთავრობის N 36, „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 02/12 N650, 2015 წლის 30/06 N308, 2016 წლის 30/12/2015წ. N660, 2017 წლის 30/12/2016წ. N638, 2021 წლის N 828, 2022 წლის N4; 2023 წლის N609; 2024 წლის N 529 დადგენილებების, აგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების თანახმად. რომელთა შესაბამისად მოცულია შემდეგი სახის სამედიცინო სერვისების მიწოდება: იმუნიზაცია, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა - ანტენატალური მეთვალყურეობა, ტუბერკულოზის მართვა - ამბულატორიული მომსახურება, გეგმიური ამბულატორიული მომსახურება (კაპიტაცია), გადაუდებელი ამბულატორიული/სტაციონარული და გეგმიური სტაციონარული მომსახურება, სამედიცინო-

ნეონატოლოგიური მომსახურება, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა და ა.შ;

კლინიკების სამედიცინო სერვისებით მოსარგებლეებს ძირითადად წარმოადგენენ, საქართველოს მთავრობის, 21/02/2013 წლის N 36 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“, კერძოდ:

1. 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების
2. 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ N165 და 09/12/2009 წლის „სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ N218 დადგენილებებით განსაზღვრული ბენეფიციარები.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად „ცენტრი“-ს მიერ განხორციელებული სამედიცინო საქმიანობის მოცულობის 68%-ს წარმოადგენს სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებულ სამუშაო, რომლის პირდაპირპროპორციულია საოპერაციო შემოსავლებში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შესაბამისად მიღებული შემოსავლის წილი.

„ცენტრი“ ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ჯანმრთელობის დაზღვევის კერძო სექტორთანაც, რისი დამადასტურებელიც გახლავთ, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოქმედ თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები (მაგ.:ს.ს. სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“, სს „არდი დაზღვევა“, სს რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“, სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“ და ა.შ.).



შესაბამისად შესრულებული სამუშაოს მიხედვით საოპერაციო შემოსავალი შეადგენს 5 803 811 ლარს (შემცირებების გათვალისწინებამდე):

| N  | კლინიკა     | შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ლარი) |
|----|-------------|----------------------------------------|
| 1  | ქუთ         | 725 971                                |
| 2  | ლანჩ.       | 462 643                                |
| 3  | დედოფ.      | 1 356 114                              |
| 4  | ლენტ.       | 128 591                                |
| 5  | ხარაგ.      | 229 636                                |
| 6  | ბორ.        | 25 801                                 |
| 7  | ამბრ.       | 576 221                                |
| 8  | ონი         | 174 279                                |
| 9  | ცაბ.        | 283 180                                |
| 10 | გუდ.        | 124 468                                |
| 11 | სტეფ.       | 176 483                                |
| 12 | თეთ.წ.      | 96 827                                 |
| 13 | წალკ.       | 216 210                                |
| 14 | ბაკურ.      | 249 994                                |
| 15 | თიან.       | 239 929                                |
| 16 | ზუგდ.       | 99 219                                 |
| 17 | დუისი       | 95 765                                 |
| 18 | დმანისი     | 420 991                                |
| 19 | აბასთუმანი  | 22 563                                 |
| 20 | ლეკიანი     | 35 581                                 |
| 21 | ფოთი        | 63 345                                 |
|    | <b>სულ:</b> | <b>5 803 811</b>                       |

საზოგადოების შვილობილი საწარმოები: შპს „ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორია“, შპს „ერედვის ამბულატორია“ და შპს „ქსუისის ამბულატორია“, წარმოადგენენ მხოლოდ გეგმიური ამბულატორიული სამედიცინო სერვისების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებს, მკაცრად განსაზღვრული კონტინგენტისათვის - მათთან აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის და საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს მთავრობის 29/12/2023წ. N529 დადგენილებით "2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" დამტკიცებული „სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება და სასწრაფო სამედიცინო დახმარება" (დანართი N17.2) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (სპეცდაფინანსება). ამდენად მათი მიერ მიღებული შემოსავლები მიზნობრივია და სრულად ექვემდებარება ათვისებას კალენდარული წლის განმავლობაში.

| N | სამედიცინო დაწესებულება                       | შემოსავალი (ლარი) |
|---|-----------------------------------------------|-------------------|
| 1 | შპს ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორია | 42,984            |
| 2 | შპს ერედვის ამბულატორია                       | 101,640           |
| 3 | შპს ქსუისის ამბულატორია                       | 97,920            |
|   | <b>სულ:</b>                                   | <b>242,544</b>    |



გარდა ამისა 2024 წელს ჯგუფის შემოსავალი მოიცავდა სახელმწიფოსგან სპეცდაფინანსების ფარგლებში აღიარებულ 12,484,928 ლარს. საერთო ჯამში, ჯგუფის შემოსავალმა შეადგინა 18,531,283 ლარი.

ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებული შემოსავალი ჯამურად შეადგენს 14,709,903 ლარს (შემცირებების გათვალისწინებამდე).

#### **დასაქმება და თანამშრომლები**

დასაქმებულთა რაოდენობით საზოგადოება ითვლება საშუალო ზომის კომპანიად. საზოგადოების ზრდის პროპორციულად ხდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობამ, შვილობილი საწარმოების ჩათვლით, შეადგინა 1266 ადამიანი.

#### **„ცენტრი“-ს თანამშრომელთა განაწილება 2024 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით:**

|               |       |
|---------------|-------|
| ადმინისტრაცია | 47    |
| ქუთაისი       | 246   |
| ლანჩხუთი      | 74    |
| დედოფლისყარო  | 98    |
| ჩოხატაური     | 4     |
| ასპინძა       | 3     |
| ლენტეხი       | 50    |
| ვანი          | 1     |
| ხარაგაული     | 53    |
| ბორითი        | 25    |
| ამბროლაური    | 90    |
| ონი           | 66    |
| ცაგერი        | 74    |
| გუდაური       | 8     |
| სტეფანწმინდა  | 58    |
| თეთრიწყარო    | 44    |
| წალკა         | 52    |
| ბაკურიანი     | 34    |
| თიანეთი       | 77    |
| ზუგდიდი       | 16    |
| დუისი         | 37    |
| დმანისი       | 61    |
| აბასთუმანი    | 32    |
| ლეკიანი       | 16    |
| ფოთი          | 10    |
| სულ:          | 1,266 |

#### **შვილობილი საწარმოების თანამშრომელთა განაწილება 2024 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით:**


|                                               |    |
|-----------------------------------------------|----|
| შპს ქარელის რაიონის სოფელ ავწევის ამბულატორია | 11 |
| შპს ერედვის ამბულატორია                       | 36 |
| შპს ქსუისის ამბულატორია                       | 26 |
| სულ:                                          | 73 |

საზოგადოება თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვა და სხვა ასაკის, გენდერის და ეროვნების ადამიანთა დასაქმებას და თანაბრად აძლევს დასაქმებულებს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას.

ახალი ვაკანსიის არსებობისას პირველ რიგში ხდება შიდა კადრების შესაძლებლობების განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ, ოფიციალური წყაროების საშუალებით ღიად ახდენს კადრების შერჩევას.

პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით საზოგადოება რეგულარულად ადბენს კადრების გადამზადებას როგორც შიდა ასევე მოწვეული ტრენერების მეშვეობით.


სამედიცინო პერსონალის პროფესიული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა პაციენტთა ინფორმირებულობასა და განათლებას, რაც ერთობლივად უზრუნველყოფს პაციენტთა უსაფრთხოებას.



რეგიონების კვალიფიციური და ხარისხიანი სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს კლინიკების კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით დაკომპლექტება წარმოადგენს. შესაბამისად გარდა იმისა რომ საზოგადოება შრომითი ბაზრის მეშვეობით ახორციელებს მაღალკვალიფიციური სამედიცინო კადრების მოზიდვას, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა სამედიცინო კადრების დასაქმებას და მათი კვალიფიკაციის ზრდასა და ამაღლებას.

საერთო დანახარჯების დიდი ნაწილი, საოპერაციო ხარჯების 64%-ი სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება წარმოადგენს, რაც საოპერაციო შემოსავლის 93%-ს შეადგენს.

საზოგადოების სათაო ოფისი (GM) წარმოდგენილია 47 თანამშრომლით და ანგარიშვალდებულებისა და დაქვემდებარების ვერტიკალის შესაბამის სტრუქტურას შემდეგი სახე აქვს:



სამედიცინო დაწესებულების სტრუქტურა წარმოდგენილია ასევე ადმინისტრაციული, სამედიცინო და ლოგისტიკურ-ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალით. კლინიკების ადმინისტრაცია შედგება აღმასრულებელი მენეჯერის ან დირექტორის, კლინიკური მენეჯერის, ტექნიკური მენეჯერის ან სპეციალისტის და აღრიცხვა-ანგარიშების სამსახურებისგან.

აღმასრულებელ მენეჯერს/დირექტორს ექვემდებარება ტექნიკური-ლოგისტიკური და სხვა დამხმარე პერსონალი, რომელიც ასევე მატრიცულ დაქვემდებარებაშია „ცენტრი“-ს შესაბამის ერთეულთან.

### **ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ**

საოპერაციო საქმიანობის განხორციელებისას, საზოგადოება ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი
  - სავალუტო რისკი
  - ლიკვიდურობის რისკი

საზოგადოების ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს საზოგადოების საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. საზოგადოების შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა. გასათვალისწინებელია, რომ შვილობილ კომპანიები მათი სტატუსისა და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ვარ ახდენენ გავლენას საზოგადოების ფინანსური რისკებზე.

### **ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

### **სავალუტო რისკი**

რისკი არ არსებობს, რადგან ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ ქართულ ლარში

### **საპროცენტო რისკი**

რისკი არ არსებობს, რადგან საზოგადოებას და შვილობილ კომპანიებს არ გააჩნიათ სესხები

## სხვა რისკები

### ✓ საზოგადოება ახორციელებს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც კომერციულად წამგებიანია:

ბორითის, გუდაურისა და დუისის გადაუდებელი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების (ცალკე მდგომი EMERGENSY) ცენტრები, რომელთა დანიშნულებაც უზრუნველყოს მხოლოდ პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიწოდება და შესაბამისად დაწესებულება გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას უწევს ძირითადად, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" დადგენილებით მოსარგებლებს. ამ მომსახურების ღირებულება წინასწარ განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ. მათგან სახელმწიფოს მიერ ხორციელდება გუდაურისა და დუისის სუბსიდირება განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში და შედეგად მათი ზარალი შედარებით უმნიშვნელოა, ბორითის სამედიცინო დაწესებულების ყოველწლიურ 270 000 ლარის ზარალთან შედარებით.

### უფუნქციოდ დარჩენილი უფლებრივი ნაკლის მქონე არაფინანსური აქტივები და მათი შენახვის ხარჯები:

ჩოხატაურის, ვანის, ასპინძის სამედიცინო დაწესებულებები და ხარაგაულისა და დედოფლისწყაროს ძველი კლინიკები, რომელთაც შეწყვიტეს სამედიცინო სერვისების მიწოდება 2016 წელს; ლენტეხის ძველი კლინიკა-ფუნქციონირება შეწყვიტა 2017 წელს. მხოლოდ ამ ობიექტების მოძველებული და ამორტიზირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თავისი უძრავ-მოძრავი ქონების ცვეთა/ამორტიზაციისა და შენახვის ხარჯებით, რომლებიც დღემდე ეკისრება საზოგადოებას და რომელთა განკარგვაც ვერ ხერხდება უფლებრივი ნაკლის გამო, ყოველწლიურად განაპირობებს დაახლოებით 285 000 ლარის ზარალს.

### განვითარების უწყვეტი პროცესი

საზოგადოება იმყოფება ბიზნესის განვითარების გზების ძიებაში. საქმიანობის პირველ წლებში ბიზნესის ზრდა ხდებოდა ძირითადად ობიექტების დამატებისა და ქსელის განვითარების ხარჯზე. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება თავისი კომერციული სტატუსის მიუხედავად გარკვეულ წილად გვევლინება ჯანდაცვითი-სოციალური პროექტების განმახორციელებლად, მის ერთერთ მიზანს ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა და მარეგულირებელი და საზედამხედველო მექანიზმების სრულყოფა წარმოადგენს. საზოგადოება განსაზღვრავს და არეგულირებს საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის პრიორიტეტებს, ფინანსური რესურსების სწორი გადანაწილების გზით იზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე.

### სოციალური პასუხისმგებლობა

საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

### გამჭვირვალობა

საზოგადოება ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

### განვითარება და ინოვაციები

საზოგადოება სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება და ამ გზით შემოსავლებისა და მოგების ზრდა.

ამასთანავე საზოგადოება მუდმივად ახალი პროექტების განვითარებისა და ბიზნესის ზრდის შესაძლებლობების ძიებაშია. საზოგადოება მჭირდოდ თანამშრომლობს ადგილობრივ სადაზღვევო კომპანიებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან, სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის მიმწოდებელ კომპანიებთან და სხვა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან.

საზოგადოების განვითარების უმთავრეს პირობას, მისი სახელმწიფო საკუთრების ფორმიდან

გამომდინარე, წარმოადგენს ინიცირებული განვითარების პროექტებსა და გეგმებზე დამფუძნებელ-პარტნიორის ოპერატიული რეაგირება, ვინაიდან მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა სცილდება საზოგადოების ხელმძღვანელობის კომპეტენციი ფარგლებს და დამოკიდებულია როგორც მფლობელის (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) ასევე საზოგადოების საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი სტრუქტურის (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.



დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

22 სექტემბერი 2025



გამომდინარე, წარმოადგენს ინიცირებული განვითარების პროექტებსა და გეგმებზე დამფუძნებელ-პარტნიორის ოპერატიული რეაგირება, ვინაიდან მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა სცილდება საზოგადოების ხელმძღვანელობის კომპეტენციი ფარგლებს და დამოკიდებულია როგორც მფლობელის (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) ასევე საზოგადოების საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი სტრუქტურის (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

---

დირექტორი

მალხაზ ჟორჟიკაშვილი

22 სექტემბერი 2025